Ბოლო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონკურსო

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N2

ქ. თბილისი --16-- ----06---- 2014 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: შს სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე **გ. სებისკვერაძე,** შს სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს უფროსი **ს. ჯანელიძე,** შს სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე **თ. კრიჭინაშვილი,** სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე **ა. გლავაცკი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

ქ.თბილისში, გულუას ქ.N10–ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიის გარე განათების სრული პროექტის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ N1250-ე კონკურსზე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრის ანტონ გლავაცკის ინფორმაცია, რომლის თანახმადაც N1250 – კონკურსზე დადგენილ ვადაში საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა მონაწილემ:

1) შ.პ.ს. „არქიტექტურა და პროექტი"-მ საკონკურსო წინადადება წარმოადგინა წინადადების ღირებულებით 2600 ლარი;

განიხილეს:

საკონკურსო კომისის წევრებმა განხილეს კონკურსში მონაწილე პრეტენდენტის შპს „არქიტექტურა და პროექტი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, რომელიც არ შეესაბამება საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

კერძოდ კონკურსანტმა არ წარმოადგინა ტერიტორიის, მემორიალის და შესასვლელების განათების 3D-ვიზუალი (რენდერი), ფოტომონტაჟები რაც საკონკურსო განცხადებით იყო გათვალისწინებული. ასევე პრეტენდენტმა არასრულყოფილად წარმოადგინა საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის დაწესებული საფასურის დამადასტურებელი დოკუმენტი, კერძოდ არასწორად იყო მითითებული შემსყიდველი ორგანიზაცია.

დაადგინეს:

1. ქ.თბილისში, გულუას ქ.N10–ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიის გარე განათების სრული პროექტის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ N1250 კონკურსში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვალის №3 ბრძანების მე-4 მუხლის 8) პუნქტის შესაბამისად მოხდეს შ.პ.ს. „არქიტექტურა და პროექტი"-ს დისკვალიფიკაცია

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველომ უზრუნველყოს:

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვალის №3 ბრძანების მე-4 მუხლის 9) პუნქტის შესაბამისად, კომისიის სხდომის ოქმის ხელმოწერის შემდეგ, მისი და კონკურსის სხვა დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დასკანირებული სახით წარდგენა (სააგენტოს ელექტრონული ფოსტა contest@procurement.gov.ge) საკონკურსო განცხადების სტატუსის განსაზღვრის მიზნით.
- შპს „არქიტექტურა და პროექტი"-ისთვის შეტყობინების გაგზავნა დისკვალიფიცირების შესახებ.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

ვ. ხატიაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები:

გ. სებისკვერაძე ს. ჯანელიძე თ. კრიჭინაშვილი ა. გლავაცკი